2 “ოქროს” ქულა

კიშინიოვი. რესპუბლიკური სტადიონი. 10 ნოემბერი.

“ნისტრუ” (კიშინიოვი) – “დინამო” (თბილისი) 1:3 (1:1).

“ნისტრუ”: მედვედევი, ტაბაჩუკი, ტეგლეცოვი, რიბაკი, სიმონენკოვი, ფილიმონოვი (კუცევი), ხლოპოტნოვი, კონსტანტინოვი, პიუნოვსკი, ჩებანუ (კარასი), ნადვინი.

“დინამო”: გაგოშიძე, ებრალიძე, ჭელიძე, ხურცილავა, ხინჩაგაშვილი, გავაშელი, მ. მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი (წერეთელი), გ. მაჩაიძე, ესებუა (გ. ნოდია).

მსაჯი: ი. სერგიენკო (ხარკოვი).

მინდვრიდან გაძევებულია კ. ასათიანი.

დუბლიორები – 1:1.

კიშინიოვის “ნისტრუ” პრაქტიკულად კარგა ხანია გამოეთხოვა უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნების რეალურ იმედს, ვინაიდან მას ყველა დარჩენილი შეხვედრა უნდა მოეგო, მის უშუალო კონკურენტებს – ყველა წაეგოთ, რაც ფეხბურთში იშვიათად ხდება. 27–ე ტურის შემდეგ კი კიშინიოველებმა მდგომარეობის ხსნის თეორიული შანსიც დაკარგეს და გუნდს დარჩა მხოლოდ ერთი – პრესტიჟის გრძნობა, უმაღლეს ლიგასთან გამოთხოვება, თუ შეიძლება ითქვას, “მუსიკით”.

მაგრამ ეს ერთობ სუსტი სტიმულია საიმისოდ, რომ მთელი თავგამოდებით ებრძოლო მეტოქეს, რომელმაც არა თეორიულად, არამედ ნამდვილად, პრაქტიკულად უნდა აიღოს ქულები გათამაშების ცხრილში მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. საამისო შესაძლებლობა კი თბილისის “დინამოს” ჰქონდა. საკმარისია ჩემპიონატის ფინიშზე დარჩენილი მატჩების წარმატებით ჩატარება, რომ საშიშ ზონას იგი საგრძნობლად დასცილდეს და თავიდან აიცილოს ყოველგვარი ხიფათი.

დინამოელებმა კიშინიოვში მთელი მონდომებით ითამაშეს. ისინი პირველი 15 წუთის მანძილზე ხშირად უტევდნენ, ქმნიდნენ კრიტიკულ მომენტებს და მხოლოდ კარში უზუსტო დარტყმების გამო ვერ მიაღწიეს მიზანს დასაწყისშივე. უფრო მეტიც: თბილისელები უტევდნენ, გოლი კი “ნისტრუმ” გაიტანა. ეს მოხდა 24–ე წუთზე, როცა პიუნოვსკიმ მიიღო ჩებანუს გადაცემა, ზუსტად ითამაშა თავით და – 1:0.

ამ მარცხს არ შეუწყვეტია სტუმრების იერიშები. 39–ე წუთზე ებრალიძე სწრაფად ჩაერთო შეტევაში და კარგად გადააწოდა ხელსაყრელ პოზიციაში მყოფ მ. მაჩაიძეს, რომელმაც თანაფარდობა აღადგინა.

51–ე წუთზე მ. მაჩაიძის დარტყმამ მეორედ მიაღწია მიზანს, ხოლო 78–ე წუთზე გუცაევის წინააღმდეგ უხეში თამაშისთვის ი. სერგიენკომ “ნისტრუს” კარში 11–მეტრიანი საჯარიმო დანიშნა. პენალტი ზუსტად გამოიყენა ჭელიძემ – 3:1.

მასპინძელთა არც ერთ ცდას, რომ ცვლილება შეეტანათ ანგარიშში, შედეგი არ მოჰყოლია. თბილისელებმა აიღეს 2 “ოქროს” ქულა და არსებითად მოსპეს სახიფათო ზონაში დარჩენის საშიშროება. შინ დარჩენილ ორ მატჩში მათ ქულაც ყოფნით, რათა მიუღწეველნი აღმოჩნდნენ თუნდაც ამჟამად ბოლოსწინა ადგილზე მყოფი “ქაირათისთვის”.

“ლელო”, 12 ნოემბერი, 1974 წ.